პროექტის განმარტება

პროექტი № NV-48/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში გლდანის დასახლებაში, მე-8-ე მ/რ, კორპუსი №19-ის 1 სადარბაზის 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული 1ც. ძალოვანი კაბელის შეცვლას 4 წვერიანი კაბელით ს/ჯ № 9088-დან შენობამდე, შენობის სარდაფიდან ძალოვანი გამანაწ. კარადის და ძალ. კაბელების გარეთ გამოტანას.

9 სართულიანი 1 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადა, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება სადარბაზოში სხვადასხვა სართულებზე დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები. შენობის პირველი სადარბაზოს შესასვლელთან გარე კედელზე დამაგრებით დაიდგას ძალ. გამანაწილებელი კარადა– ШРС-250/3, რომლის კორპუსი შეერთდეს ყრუდ არსებულ დამიწების კონტურზე. სარდაფში არსებულ კარადაზე ჩაიხსნას არსებული 3ც. კაბელი, გამოტანილი იქნას გარეთ, სადარბაზოში ამომავალი კაბელები გაიჭრას, გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ახალ ძალ. გამან. კარადაში და შეერთდეს ცალცალკე სხვადასხვა სექციაზე.

სამფაზიანი ლიფტის მკვებავი კაბელი შეიძლება ჩაერთდეს ახალ დადგმულ ძალ. გამანაწ. კარადაში ცალკე სექციაზე ან 0,4 კვ. ძაბვა აღებული იქნას აღრიცხვის კვანძის კარადაში არსებული ძალოვანი საკლემე ბლოკიდან განშტოების სახით კაბელი АВВГ2(4*16)мм2 კვეთით.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 9088-დან კორპ. № 19-ის მიმართულებით გრუნტში, შიდა კვარტალური ასფალტირებული ეზოს გვერდით გრუნტში, ამავე ასფალტირებული ეზოს გადაკვეთაში – ახალ დადგმულ ძალ. გამანაწილებელ კარადამდე, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტ. კაბელი, ჩაიდოს 1ც. კაბელი АВВГ1 (4*185)мм2 კვეთის ს/ჯ-დან სადარბაზომდე და აქედან 2ც. კაბელი NAYRY2(4*70)mm2 ამავე სადარბაზოში დადგმულ 16 მრ-ან კარადამდე. ს/ჯ-დან ჩადებულ კაბელს მიეყაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. შენობის გვერდით გრუნტში დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს. სადარბაზოში 16 მრიცხვ-ან კარადასთან გაკეთდეს ახალი და ძველი 2ც. კაბელების განმხოლოება და არსებული 1ც. და ახალი ჩადებული 1ც. კაბელი ერთმანეთზე გადაიბას შუალედური გადაბმის ქუროსის გამოყენებით.

ს/ჯ № 9088-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელის/ჯ-სა და შენობის სარდაფში, ახალ ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს გამოხსნილი ძველი კაბელის ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №19-ის სადარბაზოსთან დადგმულ ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე.

ძალოვანი კაბელების ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.